პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 171 (4681) 31

1972 წ. აგვისტო. ხუთშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## მატჩი მსოფლიო პირველობაზე

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ზ. ჯაფარიძე მიუნხენიდან გვატყობინებს:

# რას იფიქრებდა დიტო შანიძე...




ქვემსუბუქი წონის ძალოსანთა ტურნირში ორი მოძრაობის შემდეგ თბილისელი ათლეტი დიტო შანიძე დაწინაურდა — 247,5 კგ. ბოლო მოძრაობაში — აკვრაში შანიძემ 152,5 კილოგრამით დაამთავრა ასპარეზობა, 155 კილოგრამს ვერ მოერია. მაგრამ მისი შედეგი — 400 კგ მაინც ძალიან მაღალი იყო: ოლიმპიური რეკორდი გახლდათ.

რას იფიქრებდა თბილისელი ძალოსანი, რომ ამ დღეს მისი მთავარი მეტოქე, ახალგაზრდა ბულგარელი ნ. ნურიკიანი მესამე ცდაზე 157,5 კილოგრამს შეუკვეთდა. ეს ხომ 1,5 კილოგრამით აღემატება შანიძის მსოფლიო რეკორდს და ამ წონის დაძლევის შემთხვევაში ბულგარელი ოქროსაც მოიხვეჭდა და სამჭიდში დიტოს მსოფლიო რეკორდსაც (402,5 კგ) გაიმეორებდა.

ნურიკიანმა შესანიშნავად გაართვა თავი ამ უძნელეს ამოცანას და საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ისევე როგორც მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში, შანიძე ამჯერადაც ვერცხლით დაკმაყოფილდა.

III ადგილზეა უნგრელი ი. ბენედეკი — 390 კგ.

აშკარად მოეცარა ხელი ტოკიოსა და მეხიკოს ოლიმპიადების ოქროს ლაურეატს, სახელგანთქმულ იაპონელ ძალოსანს იოსინობუ მიიაკეს: მან მხოლოდ მეოთხე შედეგი აჩვენა—385 კგ.

დიდებული სანახავი იყო იაპონელი ტანმოვარჯიშე ვაჟთა გუნდის ნებისმიერი პროგრამა. მაგალითად, ცუკახარამ სავსებით სამართლიანად 9,9 ქულა დაიმსახურა ძელზე ვარჯიშში, რომელიც ურთულესი ბრუნებით ალსავსე ჩამოხტომით დააგვირგვინა. საბოლოოდ, ისევე როგორც წინა სამ ოლიმპიურ თამაშებში, საბჭოთა ნაკრებმა II ადგილი დაიკავა. მისი შედეგია 564,05 ქულა. გამარჯვებულ იაპონელებს (571,25) საბჭოთა ტანმოვარჯიშეები სავალდებულო პროგრამაში 2,85 ქულით ჩამორჩნენ, ხოლო ნებისმიერ პროგრამაში — 4,35 ქულით. III ადგილზე გავიდა გდრ-ის ნაკრები — 559,70.

საბჭოთა გუნდის ლიდერს ნ. ანდრიანოვს ტაიჭზე ვარჯიშში ხელი მოეკარა — სულ 8,8 ქულა მიიღო და გამარჯვების თითქმის ყოველგვარი შანსი დაკარგა პირად მრავალჭიდში, რომელიც 30 აგვისტოს გაიმართება. სამაგიეროდ, მასაც, აგრეთვე, მ. ვორონინსა და ვ. კლიმენკოს ცალკეულ იარაღებზე მედლების მოპოვების იმედი აქვთ. სსრ კავშირის ნაკრებში ზემოდასახელებულთა გარდა გამოდიოდნენ ე. მიქაელიანი, ა. მალეევი და ვ. შჩუკინი.

დიდ ინტერესს იწვევს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შეჯიბრება. ძალიან კარგად ასპარეზობს თბილისელი ლ. თედიაშვილი, რომელმაც მესამე წრეში ბეჭებზე დასცა კ. ელმგრენი (შვეცია). სახელგანთქმულმა ა. მედვედმა ქულებით სძლია ცნობილ დასავლეთგერმანელ ათლეტს ვ. დიტრიქს. გ. სტრახოვმა ფრედ დაამთავრა ჭიდილი ამერიკელ ბ. პეტერსონთან. სამაგიეროდ, ზედიზედ მესამე წმინდა გამარჯვება იზეიმა ი. იარიგინმა, რომელმაც ამჯერად კანადელი ჰ. გერისი დასცა. ი. გუსოვმა წააგო ა. ზევერთან (გფრ) და ახლა 4 საჯარიმო ქულა დაუგროვდა შესაძლებელი 6-დან.

... კილში აფრები ფრიალებენ. ოლიმპიური რეგატა საბჭოთა სპორტსმენთაგან ყველაზე კარგად 1968 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა ვ. მანკინმა დაიწყო, რომელიც ახლა „ტემპესტით“ გამოდის: პირველ რბოლაში მან III ადგილი დაიკავა.

მოულოდნელი იყო სსრ კავშირის რაპირისტი ვაჟების წარუმატებლობა: საბჭოთა ნაკრებმა საგრძნობი დანაკლისი განიცადა — მეოთხედფინალში შემდგომ ბრძოლას გამოეთიშნენ ვ. სტანკოვიჩი და ა. კოტეშევი. ერთადერთი ნახევარფინალისტი სსრ კავშირის წლევანდელი ჩემპიონი ვ. დენისოვაა.

ასევე უხეიროდ იასპარეზეს საბჭოთა მესტენდურეებმა ადგილიდან სროლაში: ა. ალიპოვმა XIII ადგილი (190 ქულა: 71+72+47) დაიკავა, ხოლო ქულათა ასეთივე ჯამით (74+69+47) XV ადგილზეა ა. ანდროშკინი.

გამარჯვებით განაგრძობენ ასპარეზობას საბჭოთა ფრენბურთელი ვაჟები. ამჯერად მათ „მშრალი“ ანგარიშით — 3:0 (17:15, 15:12, 15:4) დაამარცხეს სამხრეთ კორეის ნაკრები. ამ ქვეჯგუფში განსაკუთრებით მწვავედ ჩატარდა ბულგარეთისა და ჩეხოსლოვაკიის ფრენბურთელთა შეხვედრა. ბრძოლა თითქმის სამ საათს გაგრძელდა. გაიმარჯვეს ბულგარელებმა — 3:2.

დაუმარცხებლად თამაშობენ საბჭოთა ფრენბურთელი ქალებიც. დღეს მათ გფრ-ის გუნდს სძლიეს — 3:0 (15:5, 15:7, 15:9).

მეხივით გავარდა მსოფლიო ჩემპიონის, მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორის — იუგოსლავიის კალათბურთელთა ნაკრების დამარცხების ამბავი. ეს ნამდვილი სენსაცია იყო: იუგოსლაველებმა ხომ პუერტო-რიკოს გუნდთან წააგეს. ბრძოლა უაღრესად დაძაბული გამოდგა და ასე დასრულდა — 79:74 (38:31). უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ნაკრები ამ ორივე გუნდს შეხვდება.

საინტერესოდ მიმდინარეობს ტრამპლინიდან მხტომელ ვაჟთა წინასწარი შეჯიბრება. განსაკუთრებით წარმატებით ასპარეზობს ცნობილი იტალიელი სპორტსმენი ფ. კანიოტო, რომელსაც რვა ნახტომის შემდეგ 400,95 ქულა დაუგროვდა. კარგად გამოდიან საბჭოთა სპორტსმენები ვ. სტრახოვი და ვ. ყასინიც, რომელთაც შესაბამისად II და III ადგილები უკავიათ — 392,10 და 387,72 ქულა. სამაგიეროდ, ფინალის მიღმა დარჩა ვ. კაპირულინი.

წარმატებით განაგრძობს შეჯიბრებას საბჭოთა მოკრივე ბ. კუზნეცოვი (57 კგ-მდე), რომელმაც ამჯერად ქულებით დაამარცხა ვენესუელელი ხ. ბაპტისტა. მძიმე ბრძოლა გადახდა ევროპის ორგზის ჩემპიონს ვ. ტრეგუბოვს თავის პირველ ოლიმპიურ შეხვედრაში. მისი მეტოქე — ამერიკელი რ. ჯონსი ტრეგუბოვზე ათი წლით უმცროსია და ძალიან მაგრადაც უტევდა. სამმა მსაჯმა უპირატესობა საბჭოთა მოკრივეს მიაკუთვნა.

29 აგვისტო.

• • •



**სურათზე:** ქვემსუბუქი წონის ძალოსანთა შეჯიბრების პრიზიორები (მარცხნიდან): დ. შანიძე (სსრ კავშირი) — ვერცხლის მედალი, ნ. ნურიკიანი (ბულგარეთი) — ოქროს მედალი, ი. ბენედეკი (უნგრეთი) — ბრინჯაოს მედალი.

(მიუნჰენიდან ფოტოდეპეშით მიიღო საქინფორმმა).

# მეოცე პარტია

### ფიშერი — სპასკი

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 მc6 3. d4 cd 4. მ:d4 მf6 5. მc3 d6 6. კg5 e6 7. ლd2 a6 8. 0—0—0 კd7 9. f4 კe7 10. კe2 0—0 11. კf3 h6 12. კh4 მ:e4 13. კ:e7 მ:d2 14. კ:d8 მ:f3 15. მ:f3 ეf:d8 16. ე:d6 მფf8 17. ეhd1 მფe7 18. მa4 კe8 19. ე:d8 ე:d8 20. მc5 ეb8 21. ეd3 a5 22. ეb3 b5 23. a3 a4 24. ეc3 ეd8 25. მd3 f6 26. ეc5 ეb8 27. ეc3 g5 28. g3 მფd6 29. მc5 g4 30. მe4+ მფe7 31. მe1 ეd8 32. მd3 ეd4 33. მef2 h5 34. ეc5 ეd5 35. ეc3 მd4 36. ეc7+ ეd7 37. ე:d7+ კ:d7 38. მe1 e5 39. fe fe 40. მფd2 კf5 41. მd1. პარტია გადაიდო.

• • •

XX პარტიაში მეტოქეებმა კვლავ სიცილიური დაცვა აირჩიეს. ფიშერმა, როგორც XVIII პარტიაში, საბჭოთა ოსტატ ვ. რაუზერის სისტემა გაითამაშა. მე-10 სვლაზე მან დარბაისლურად ითამაშა, მაგრამ უპირატესობას ვერ მიაღწია. სპასკიმ რამდენიმე ფიგურის გაცვლა გამოიწვია.

როცა თამაში ენდშპილში გადავიდა, სპასკის უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა. მან ლაზიერის ფრთის პაიკებით შეაჩერა მეტოქის პაიკების წინსვლა, ხოლო თავად შეუტია მეფის ფრთაზე. ფიშერი ფხიზლად თამაშობდა, ვიდრე შეეძლო, ეტლი არ გაცვალა.

მსუბუქი ფიგურების ენდშპილში სპასკი მარჯვედ მოქმედებდა: ცენტრში მხედარი გაამაგრა, კუს ასპარეზი მისცა, მაგრამ ფიშერის პოზიცია მაინც ვერ გაარღვია.

41-ე სვლაზე პარტია გადაიდო აი, ამ პოზიციაში:

სპასკი



ფიშერი

სვლა სპასკიმ ჩაიწერა. სპეციალისტების აზრით, სპასკის ტერიტორიული უპირატესობა აქვს, მაგრამ ფიშერი ფაიმის რეალურ შანსს ინარჩუნებს.

მატჩის XXI პარტია ხუთშაბათს, 31 აგვისტოს გაიმართება. ჯერჯერობით მატჩის ანგარიშია 11:8 ფიშერის სასარგებლოდ.

... იყო ... 19 45

◆ **ნიტრა**, 30 აგვისტო. ჩეხოსლოვაკიის ამ ქალაქში მასპინძელ მოტოციკლისტთა ნაკრებმა წარმატებით დაამთავრა გათამაშება „დუნაის თასისა“, რომელსაც მაისში მიეცა სტარტი ლუგოვში. შეჯიბრების ოთხ ეტაპზე ჩეხოსლოვაკიის მოტოკროსმენებს 132 საჯარიმო ქულა დაუგროვდათ. II ადგილზე არიან საბჭოთა სპორტსმენები (204), III — ბულგარელები (297). პირად ჩათვლაში ბოლო ეტაპზე თავი გამოიჩინა ი. სტოდულკამ (ჩეხოსლოვაკია). საბჭოთა კროსმენთაგან საუკეთესო იყო კიეველი ა. მანდრიჩენკო, რომელმაც III ადგილი დაიკავა.

◆ **კოშიცე**, 30 აგვისტო. რსფსრ-ს კალათბურთელ ქალთა გუნდმა აქ ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს სძლია — 63:46 (26:27). ყველაზე შედეგიანი მოთამაშე იყო სვერდლოვსკელი ლ. შვეცოვა (22 ქულა).

## გუშინ...

—◆— **სსრ კავშირის** კალათბურთელთა ნაკრებმა მორიგი გამარჯვება იზეიმა: ამჯერად ანგარიშით 94:64 (50:23) დაამარცხა პოლონეთის გუნდი. გამარჯვებულ კოლექტივს ყველაზე მეტი ქულა შესძინეს ს. ბელოვმა (16), ა. ბელოვმა და გ. ვოლნოვმა (12-12).

—◆— **თავისუფალი** სტილით 4×100 მეტრზე ესტაფეტაში გდრ-ის ქალთა გუნდმა შესანიშნავ წარმატებას მიაღწია: წინასწარ გაცურვაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 3.58,11.

—◆— **წინასწარ** გაცურვებში ევროპული რეკორდები დაამყარეს ნოველა კალიგარისმა (იტალია) და გუნარ ლარსონმა (შვეცია). იტალიელმა თავისივე მიღწევა გააუმჯობესა 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 4.24,14 აჩვენა, ხოლო ლარსონმა — ამავე მანძილზე კომპლექსურ ცურვაში. შვედის შედეგია 4.34,99.

# მათ მოხიბლეს მაყურებელი

**მიუნხენი**, 29 აგვისტო. დასავლეთ გერმანიაში არ არის გაზეთი, სადაც დღეს არ იყოს დაბეჭდილი სურათები საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალებისა, რომელთაც გუნდურ ჩათვლაში ოლიმპიური ოქროს მედლები მოიპოვეს. პრესა აღნიშნავს, რომ ამ სახეობაში საბჭოთა სპორტსმენებს ბადალი არ ჰყავთ. „ასე იყო, ასეა და ასეც იქნება უახლოეს წლებში: საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალებს წინააღმდეგობას ვერავინ გაუწევს“, — ხაზგასმით აღნიშნავს თავის რეპორტაჟში ჰამბურგის გაზეთი „ბილდ-ცაიტუნგი“.

„გუშინ საღამოს ოლიმპიურ სპორტდარბაზში ექვსმა საბჭოთა ქალიშვილმა მოხიბლა 12 ათასი მაყურებელი, — წერს მიუნხენის „აბენდცაიტუნგი“. — ისინი შესანიშნავი პროგრამით გამოვიდნენ“.

გაზეთები განსაკუთრებით აქებენ ყველაზე ახალგაზრდა საბჭოთა ტანმოვარჯიშეს ოლგა კორბუტს. „ყოველ მის გამოსვლას, — წერს გაზეთი „აბენდცაიტუნგი“, — ღრეშდე არნახული ოვაციები და აღტაცების შეძახილები ახლდა“.

მიუნხენის „ზიუდდოიჩე ცაიტუნგს“ მიაჩნია, რომ საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალთა გუნდი ასე თანაბრად ჯერ არასოდეს გამოსულა. თავისუფალ ვარჯიშში საბჭოთა სპორტსმენებმა განსაკუთრებით დახვეწილი ტექნიკა გამოავლინეს. მაგრამ ჟურნალისტები, მსაჯები და მაყურებლები ყველაზე მეტად ძელზე ვარჯიშმა გააკვირვა. მარტო კორბუტმა რომდი გამოიწვია მქუხარე ტაში თავისი მალაყით. აღსანიშნავია, — წერს გაზეთის კორესპონდენტი, — რომ საბჭოთა სპორტსმენებმა სწორედ ტანვარჯიშის ამ ურთულეს სახეობაში მოიპოვეს ყველაზე მეტი ქულა.

# მიუნჰენის XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშები






ს უ რ ა თ ზ ე: 100 კილომეტრზე გუნდურ რბოლაში გამარჯვებული საბჭოთა ველოსიპედისტები ვ. ლიხაჩოვი, გ. კომნატოვი, ბ. შუხოვი და ვ. იარდი წარმატებას ზეიმობენ.



სსრ კავშირის ფეხბურთელთა გუნდმა რეგენსბურგში თავისი პირველი ოლიმპიური მატჩი მოუგო ბირმის გუნდს — 1:0. გოლი 51-ე წუთზე გაიტანა კოლოტოვმა.

ს უ რ ა თ ზ ე: მატჩის ეპიზოდი. მარჯვნივ ი. ელისეევი. ხტება ო. ბლოხინი.

(მიუნჰენიდან ფოტოდეპეშით მიიღო საქინფორმმა).

## გრძელი დღე

მიუნჰენი, 29 აგვისტო. მეოთხე დღისთვის ოლიმპიადამ მაღალი ტემპი აიღო. დილის 8 საათიდან გვიან ღამემდე მონაწილენი 18 სახეობაში ასპარეზობდნენ. პატრონი გამოუჩნდა სპორტულ სამყაროში ყველაზე საპატიო მედლების კიდევ რვა კომპლექტს. საბჭოთა ველოსიპედისტებს დღესით ერთი ოქროს მედალი ხვდათ.

### სწრაფვა სიმაღლისკენ

ის, ვინც თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონს ზ. აბდულბეკოვს იცნობს, უკვე აღარ გაოცდება, თუ მასთან საუბარში რასულ გამზათოვის ლექსების სტრიქონებს მოისმენს (მახაჩყალელმა სპორტსმენმა მიუნჰენში თავისი სახელგანთქმული თანამემამულე პოეტის ლექსების წიგნი ჩამოიტანა). როცა ჰკითხეს როგორ მიდის საქმეო, მან უპასუხა: მაღლა, ცისკენ... როგორც გსურდეს, ისე გაიგე.

მსაჯებმა აბდულბეკოვი ხალიჩაზე გამოიძახეს, ამჯერად აშშ-ს წარმომადგენელ ჯ. დევისთან შესახვედრად.

სამი წუთიც არ იყო გასული, რომ ამერიკელი ხალიჩაზე გაკრული აღმოჩნდა.

აბდულბეკოვისა და მისი ამხანაგებისთვის სიტყვა „სიმაღლე" საპატიო კვარცხლბეკის საფეხურების მიხედვით იზომება. და ისინი შეუპოვრად მიიწევენ მაღლა. მაგალითად, საბჭოთა გუნდში წონით ყველაზე მსუბუქი სპორტსმენი (48 კგ) რ. დმიტრიევი უკვე პირველ ექვსეულში მოხვდა. მორიგმა ტურებმა უნდა გაარკვიოს მისი ადგილი.

ამ დილით რ. აშურალიევმა წმინდად დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელი ი. ენგელი. მისი მეტოქე მაყურებლებში გადაინაცვლებს, აშურალიევს კი პრიზიორთა შორის მოხვედრის იმედი აქვს.

### „ტიფოზები" აქაც ყოფილან

საბჭოთა კალათბურთელებს ოლიმპიადის სარბიელზე პირველი სერიოზული გამოცდა დღეს ელოდათ იტალიის გუნდთან (მანამდე მათ იოლად დაამარცხეს სენეგალელები და თამაშების მასპინძლები). გამარჯვება დაძაბული ბრძოლის შედეგი იყო — 79:66 (41:28).

... ტრიბუნებზე ასობით იტალიელი იჯდა. „ტიფოზებმა" ნამდვილი სპექტაკლი მოაწყვეს: დროშებს აქნევდნენ, უსტვენდნენ, რაღაცას გაჰყვიროდნენ ჯერ კიდევ მატჩამდე. მათი მხარდაჭერით წაქეზებული „სკუადრა აძურა" მყისვე იერიშზე გადავიდა. იტალიელებმა შეძლეს მეტოქისთვის თავს მოეხვიათ ეს თავბრუდამხვევი სტილი, დაწინაურდნენ კიდეც და საბჭოთა კალათბურთელები ერთხანს ამაოდ ცდილობდნენ მათ დასწეოდნენ.

პაულაუსკასს, პოლივოდას, ბოლოშევს, ალექსანდრე და სერგეი ბელოვებს გამოცდილება არ აკლიათ, მაგრამ ოლიმპიადა მაინც ოლიმპიადაა. კალათბურთელები ღელავდნენ. მაგრამ თანდათან ტემპი დაეცა, ნერვებიც დაიოკეს და სამიზნე უფრო ზუსტი გახდა. საბჭოთა ნაკრებში ყველაზე შედეგიანები იყვნენ ჟარმუხამედოვი (22 ქულა) და პაულაუსკასი (17).

### ჩემპიონთა ესტაფეტა

ახალი ოლიმპიური ჩემპიონები ბ. შუხოვი, ვ. იარდი, ვ. ლიხაჩოვი და გ. კომნატოვი საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დაქანცულნი, მაგრამ ბედნიერნი იდგნენ. ასე დაღლილი შეიძლება იყოს მხოლოდ ოთხი ველოსიპედისტი, რომლებმაც ერთიმეორის დახმარებით ყველაზე სწრაფად გაიარეს რბოლის 100-კილომეტრიანი ტრასა და გაიმარჯვეს.

გაისმა საბჭოთა ჰიმნი. მაყურებლებში კი იდგა კაცი, რომელსაც უდიდესი დამსახურება მიუძღვოდა ამ გამარჯვებაში. ეს იყო საბჭოთა ნაკრების მწვრთნელი, წარსულში სახელგანთქმული მრბოლელი ვ. კაპიტონოვი, რომელმაც ამ 12 წლის წინ საბჭოთა ველოსიპედისტებიდან პირველმა და ამ მომენტამდე უკანასკნელმა მოიგო ოლიმპიური ოქროს მედალი.

განსაკუთრებით რთული პროფილისა აღმოჩნდა 25-კილომეტრიანი მონაკვეთი მიუნჰენიდან გარმიშ-პარტენკირხენამდე.

კაპიტონოვმა სწორად გამოიანგარიშა: პირველ კილომეტრებზე საბჭოთა ველოსიპედისტები ძალებს იზოგავდნენ საფინიშო ბიძგისთვის. პირველი 25 კილომეტრის შემდეგ საბჭოთა გუნდი მეოთხე იყო და ნახევარ წუთს აგებდა ლიდერებთან — ჰოლანდიელებთან. ჰოლანდიელებმა მეორე მოსაბრუნამდე იზარალეს: ერთ-ერთ მათგანს მანქანა გაუტყდა და ამხანაგებს ჩამორჩა. დანარჩენი სამი უკვე დაემშვიდობა ჩემპიონობას მათთვის რიგით მეორე ოლიმპიურ თამაშებში.

ნახევარ დისტანციაზე საუკეთესო შედეგი ჰქონდა პოლონეთის გუნდს, რომელსაც მშვიდობის ველორბოლებში ორგზის გამარჯვებული რ. შურკოვსკი მეთაურობდა.

75 კილომეტრის შემდეგ ელექტროტაბლოს პირველ სტრიქონზე გაჩნდა წარწერა: „სსრ კავშირი". დაიწყო საბჭოთა გუნდის გამარჯვების სპურტი. მრბოლელები მღელვარებით უსმენდნენ დიქტორს. და აი, ფინიშთან პოლონეთის გუნდი გამოჩნდა და მას... მეორე შედეგი აღმოაჩნდა. საბჭოთა ველოსიპედისტებმა უსაზღვროდ გაიხარეს, გუნდის ყველაზე ახალგაზრდა წევრი კომნატოვი ატირდა კიდეც. 22 წლის ომსკელი სტუდენტი ქვეყნის პირველ ნაკრებში წლეულს შევიდა, ხოლო დანარჩენი სამი — 24 წლის გორკელი ელექტრიკოსი ლიხაჩოვი, 25 წლის კუიბიშეველი არმიელი შუხოვი და 24 წლის ჩებოქსარელი სტუდენტი იარდი, 1970 წელს მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ. ახლა მათ დაამტკიცეს, რომ ის გამარჯვება შემთხვევითი არ ყოფილა.

### ძვირფასი ბრინჯაო

ბრასით 200 მეტრზე ცურვაში თითქმის მთელს დისტანციაზე ლიდერობდა მოსკოველი გ. სტეპანოვა. მან დაძაბული ბრძოლა გამართა ამერიკელ კ. ქლევენჯერთან, რომელიც გვერდით ბილიკზე მიცურავდა. ცოტა მოშორებით იბრძოდნენ ავსტრალიელი ბ. უიტფილდი და მეორე ამერიკელი დ. შენფილდი. ოქროს ბედი ბოლო ათ მეტრში გადაწყდა: პირველი იყო უიტფილდი, მეორე — შენფილდი, მესამე — სტეპანოვა...

როგორ უნდა შევაფასოთ სტეპანოვას ბრინჯაოს ჯილდო? გალინა ხომ ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ტოკიოში, მეხიკოში კი 100 მეტრზე ვერცხლის მედალი მოიპოვა. ახლა მან საპატიო კვარცხლბეკის მესამე საფეხური დაიკავა, მაგრამ მისი წლევანდელი ბრინჯაო ასევე ძვირფასი ლითონია.

წლევანდელ თამაშებში კიდევ ერთი, მესამე ოქროს მედალი დაისაკუთრა ამერიკელმა მ. სპიტცმა, რომელმაც 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში სამივე საპრიზო ადგილზე გასული მოცურავე ქალი... ცრემლებს იწმენდდა: ამერიკელები ს. ნილსონი და შ. ბაბაშოფი სიხარულისგან ტიროდნენ, ხოლო ავსტრალიელი შ. გოულდი — სიმწრით: მსოფლიო რეკორდსმენი საგრძნობლად შეფერხდა სტარტზე და მხოლოდ მესამე აღმოჩნდა, თუმცა ოქროს მედლის იმედი ჰქონდა. გდრ-ის სპორტსმენი გ. ვეცკო ფინიშთან მეოთხე იყო, სამაგიეროდ, ევროპის რეკორდი დაამყარა — 59,21.

იმედი გაამართლა მსოფლიო რეკორდსმენმა გულაღმა ცურვაში როლანდ მათესმა (გდრ). მან დამაჯერებლად მოიგო ოქროს მედალი 100 მეტრზე. გერმანელის შედეგი (56,58) ოლიმპიური რეკორდია და სულ 0,28 წამით ჩამოუვარდება მისსავე მსოფლიო მიღწევას.

100 მეტრზე ბრასით ცურვაში ამერიკელმა ჯონ ჰენკენმა უკვე პირველ ნახევარფინალში დაამყარა მსოფლიო რეკორდი — 1.05,68. მაგრამ მიღწევამ ხუთ წუთზე დიდხანს ვერ გაძლო: იაპონელმა ნ. ტაგუტიმ მანძილი უფრო სწრაფად გაცურა — 1.05,13. მსოფლიოს ექს-რეკორდსმენი, მოსკოველი ნ. პანკინი მეექვსე იყო — 1.06,08. იგი ფინალში გავიდა.

მთავარ ოლიმპიურ სტადიონზე წლევანდელი თამაშების საფეხბურთო ტურნირის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი — უნგრეთისა და ბრაზილიის ნაკრები გუნდების საინტერესო შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 2:2.

ვ. კუკუშკინი,
ა. სტაროდუბი,
ი. ხრომოვი,
(საქდესის სპეც. კორ.).

### დღეს

კრივი (წინასწარი შეხვედრები, პირველი წრე).

თავისუფალი ჭიდაობა (ფინალები)*.

ძიუდო (მძიმე წონა. ფინალი)*.

ველოსპორტი (გამოდევნებით ინდივიდუალური რბოლა — საკვალიფიკაციო შეჯიბრება; გიტი 1000 მ ადგილიდან)*.

კალათბურთი (წინასწარი მატჩები).

ტანვარჯიში (ქალები პირველობა მრავალჭიდის ცალკეულ იარაღებზე — ქალები)*.

აკადემიური ნიჩბოსნობა (ნახევარფინალები).

ცხენოსნური სამჭიდი (საველე გამოცდა).

მძლეოსნობა (სიგრძეზე ხტომა — ქალები; 20 კმ-ზე სპორტული სიარული — ვაჟები. ფინალები)*.

აფროსნობა (მესამე რბოლა).

ცურვა (ფინალები: 400 მ კომპლექსური ცურვა — ქალები; 100 მ ბატერფლაი, ესტაფეტა 4×200 მ თავისუფ. ლი სტილი — ვაჟები)*.

წყალბურთი (წინასწარი მატჩები).

თანამედროვე ხუთჭიდი (მძლეოსნური კროსი)*.

ტყვიის სროლა („გაქცეული ტახი" — პირველი დღე; პისტოლეტით სწრაფსროლა — პირველი რიგი).

სასტენდო სროლა (მრგვალი სტენდი. პირველი დღე).

ძალოსნობა (ქვესაშუალო წონა)*.

ფარიკაობა (ვაჟები. პირადი პირველობა. ხმალი — ფინალი)*.

ფეხბურთი (წინასწარი მატჩები).

ბალახის ჰოკეი (წინასწარი მატჩები).

გათამაშდება 24 ოქროს მედალი (იხ. ვარსკვლავით აღნიშნული სახეობები).

## ოლიმპიური მოზაიკა

Оლიმპიური თამაშების გახსნამდე სამი საათი იყო დარჩენილი, როცა მიუნჰენის სტადიონის რადიოცენტრის 45 ტექნიკოსი თავიანთ ხელმძღვანელს გაფიცვით დაემუქრა. ისინი მუშაობის მძიმე პირობებს უჩიოდნენ: სტადიონის ქვეშ განლაგებული ოთახები ნესტიანი და ცივია. ტექნიკოსებმა ულტიმატუმი წამოაყენეს: თუ ჩვენს მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებთ, მსოფლიო ერთ სიტყვასაც ვერ გაიგონებს რადიოთი ოლიმპიური თამაშების გახსნის შესახებო. ულტიმატუმის ვადა იწურებოდა თამაშების გახსნამდე ერთი საათით ადრე, შემდეგ კი კიდევ ნახევარი საათით გააგრძელეს.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც რადიოცენტრის ტექნიკურმა დირექტორმა გაფიცულებს თანხმობა განუცხადა ულტიმატუმის ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ტექნიკოსები თავიანთ პულტებსა და აპარატებს დაუბრუნდნენ.

დასავლეთგერმანული გაზეთების ცნობით, ოლიმპიური თამაშების გახსნის დღეს მიუნჰენის სტადიონიდან ჰაერში აფრინდა არა 5000 მტრედი, როგორც გათვალისწინებული იყო, არამედ... ერთით ნაკლები. ამ ფრინველმა ზეიმის დაწყებამდე შეძლო ტყვეობიდან თავის დაღწევა — სპეციალური ყუთიდან გამოსხლტომა. შემდეგ მან კომენტატორთა ჯიხურების წინაფრაზე მოიკალათა და თითქმის სამი საათის მანძილზე მშვიდად „ადევნებდა თვალს" ოლიმპიადის საზეიმო გახსნას.

Оლიმპიური თამაშების პირველი ჩემპიონისთვის რაგნარ სკანაკერისთვის ოლიმპიადის პირველი „სამუშაო" დღე არცთუ იღბლიანად დაიწყო. მწვრთნელი ს. იორტბის დარიგებით, იგი დილის 5 საათსა და 45 წუთზე უნდა ამდგარიყო, ხანმოკლე მოთელვის შემდეგ 7 საათზე უნდა ესაუზმა და სასროლეთზე გამგზავრებულიყო. ექვსს 15 წუთი რომ აკლდა, სკანაკერს მშვიდად ეძინა თავის ლოგინში და ისე გვიან ადგა, რომ ძლივს მოასწრო ერთი ფინჯანი ყავის დალევა და ბუტერბროდის შეჭმა. ბუნებრივია, მწვრთნელმა დატუქსა რაგნარი რეჟიმის დარღვევისთვის.

როცა სკანაკერმა პირველი სერიის შემდეგ 98 ქულა დააგროვა, მეტოქეებმა იფიქრეს: ბედმა გაუღიმაო. მაგრამ შვედი სპორტსმენი შემდეგშიც დამაჯერებლად ისროდა და ოქროს მედალი მოიპოვა.



ს უ რ ა თ ზ ე: რ. სკანაკერი სიხარულს ვერ ფარავს.

# მიუნხენის XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშები

## ვერცხლის მედლები



მიუნხენის თამაშებში პირველი ოლიმპიური მედალი საბჭოთა გუნდს მოცურავეებმა მოუტანეს. მათ II ადგილი დაიკავეს 4×100 მეტრზე ესტაფეტაში თავისუფალი სტილით. საბჭოთა სპორტსმენებმა არა მარტო ვერცხლის მედლები მოიპოვეს, არამედ ევროპისა და სსრ კავშირის რეკორდიც დაამყარეს — 3.29,72. ვლადიმერ ბურემ, რომელმაც პირველმა აიღო სტარტი, თავისივე ევროპისა და სსრ კავშირის რეკორდი გააუმჯობესა — 52,26. სხვათა შორის, ეს სეზონის მეორე შედეგია მსოფლიოში. პირველი ეკუთვნის მსოფლიო რეკორდსმენს, აშშ-ს წარმომადგენელს მ. სპიტცს, რომელიც ესტაფეტაში გამარჯვებულ გუნდს მეთაურობდა.

თანმიმდევრობით გაგაცნობთ მეგობრული საბჭოთა ოთხეულის წევრებს: ბურე, ვიქტორ მაზანოვი და იგორ გრივენიკოვი მოსკოველები არიან, ვიქტორ აბოიმოვი კი ყარაგანდელია. ოთხივენი სტუდენტები არიან, სიმაღლით კალათბურთელებს ჰგვანან, განსაკუთრებით, გრივენიკოვი, რომელიც ტანად 198 სანტიმეტრია.

გრივენიკოვი 20 წლისაა, მოსკოვის უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობს. 1963 წლის ოქტომბერში პირველად მივიდა მოსკოვის „დინამოს" აუზზე და ნ. ნესტეროვასთან დაიწყო ვარჯიში. 9 წლის მანძილზე ბევრჯერ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონისა და რეკორდსმენის სახელი გულაღმა ცურვაში, გაიმარჯვა ევროპის 1967 წლის ჩემპიონატში თავისუფალი სტილით მოცურავე ჭაბუკთა შორის.

ბურე 21 წლისაა. თავიდან ფიგურული ციგურაობით იყო გატაცებული, მაგრამ შემდეგ უფროსი ძმის ალექსეისა და მამის — ცნობილი მწვრთნელის ვალერი ბურეს მაგალითისამებრ, ცურვა აირჩია. თავდაპირველად ქვეყნის უძლიერეს სტაიერებს შორის ითვლებოდა. 1968 წელს სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა 1500 მეტრზე. მეხიკოს თამაშებში ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის სტუდენტი ბურე იყო წევრი სსრ კავშირის ნაკრებისა, რომელმაც 4×200 მეტრზე ესტაფეტაში თავისუფალი სტილით ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. ახლა ბურე ევროპის საუკეთესო სპრინტერთა ათეულს უდგას სათავეში.

25 წლის მაზანოვი ყველაზე გამოცდილი და ყველაზე ტიტულოვანია საბჭოთა მოცურავეთა გუნდში. იგი სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენია გულაღმა ცურვაში, ევროპის არაერთგზის ჩემპიონი ესტაფეტებში. მიუნხენის თამაშები მის სპორტულ ბიოგრაფიაში მესამე ოლიმპიადაა.

ბავშვობაში მაზანოვი ფეხბურთელის კარიერაზე ოცნებობდა, ისევე როგორც მამამისი, სპორტის ოსტატი გ. მაზანოვი. ბიჭი ბავშვთა სპორტულ სკოლაში დადიოდა, მაგრამ ექიმებმა რევმოკარდიტი აღმოუჩინეს და მშობლებს ურჩიეს ცურვაში ავარჯიშეთო. ასე დაიწყო მეცადინეობა მაზანოვმა ამ 14 წლის წინ ა. კორნეევთან, მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტთან არსებული ბავშვთა სპორტული სკოლის მწვრთნელთან.

ყარაგანდის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი, 22 წლის აბოიმოვი სსრ კავშირის ნაკრებში შარშანდლიდან ირიცხება და მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებში მოპოვებული ვერცხლის მედალი დიდი წარმატებაა მის სპორტულ ბიოგრაფიაში.

**ჰ. ხაჩატურიანი.**
(სახალხოს სპეც. კორ.).

მიუნხენი.

• • •

სურათზე: საბჭოთა მოცურავეები — XX ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორები.

სახალხოს ტელეფოტო.



სურათზე: თანამედროვე ხუთჭიდში მსოფლიო ჩემპიონი ბ. ონიშჩენკო ცხენით დაბრკოლების გადალახვის დროს.

სახალხოს ტელეფოტო.

## ღიმილის ფასი

მიუნხენი, 29 აგვისტო. ჰოჰბრიუკის სასროლეთისკენ მიმავალი გზატკეცილი დილიდანვე ავტომანქანებითა და ავტობუსებით გაიჭედა — ამ სასროლეთზე ერთმანეთს უნდა შეჯიბრებოდნენ თანამედროვე ხუთჭიდის ოსტატები პისტოლეტით სწრაფსროლაში. ეს მშვენიერი ბაზა, ისევე როგორც მიუნხენის დანარჩენი ოლიმპიური ნაგებობები, „თავით ფეხამდე" ახალია, ბეტონით ნაგები შენობის მინის კედლები პირდაპირ თვალს ჭრის კაცს.

... საბჭოთა სპორტსმენთაგან ვ. შმელიოვი უკანასკნელი გამოვიდა ცეცხლის ხაზზე. ტირის თაღებქვეშ თითქმის ისეთი მყუდროება იყო, როგორც ეკლესიაში (ჩურჩულით ლაპარაკიც კი არბიტრის საპროტესტო ჟესტს იწვევდა) და ამ მყუდროებაში ტრადიციულად ფრანგულ ენაზე გაისმოდა მსაჯთა ბრძანებები.

შავი სამიზნე მსროლელისკენ მხოლოდ 3 წამით შემობრუნდება ხოლმე და მოასპარეზემაც თვალის დახამხამებაში უნდა მოასწროს დამიზნებაცა და ჩახმახის გამოკვრაც. ყურადღების მოკრება აქ ისევე ძვირად ფასობს, როგორც სიზუსტე. იქნებ ამიტომაც ასეთი სერიოზულნი არიან ხუთჭიდელები. შეიძლება ითქვას, რომ შმელიოვი დღეს ყველაზე სერიოზული იყო. აი, მან მეხუთედ გამოჰკრა ჩახმახს, პისტოლეტი დადო, ბარიერის იქით მაყურებელთა პირველ რიგში მდგარ მეგობრებს მიუბრუნდა და სახე გაებადრა.

— ესე იგი, ხუთი „ათიანია", — თქვა ბ. ონიშჩენკომ, — ვალოდია ტირში მხოლოდ მაშინ იღიმება, როცა 50 ქულას აგროვებს.

მსაჯთა განცხადებამ მსოფლიო ჩემპიონის სიტყვები დაადასტურა...

შმელიოვმა შეჯიბრება პირადი რეკორდით (195 ქულა) დაამთავრა, რამაც ხუთჭიდის ჯამში 1022 ქულა მისცა. ამდენივე აქვს ლედნიოვს. ონიშჩენკომ 197 ქულა დააგროვა — გამარჯვებულ იტალიელ მ. მედაზე მხოლოდ ქულით ნაკლები — და 1066 ქულა მიიღო. ამ საბჭოთა სამეულს მართლაც აქვს საბაბი კარგ ხასიათზე იყოს: ასეთი მაღალი რანგის შეჯიბრებებში აქამდე ამ ტრიოს არასოდეს უსვრია.

საბჭოთა ნაკრებმა ყველას აჯობა სროლაში (3110 ქულა) და სამი დღის შემდეგ ლიდერობა განიმტკიცა. სპეციალისტების აზრით, ახლა მხოლოდ რაღაც ფათერაკს შეუძლია ამ კოლექტივს გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება დაუკარგოს.

პირად ჩათვლაშიც საბჭოთა სპორტსმენები დაწინაურდნენ: პირველია ლედნიოვი, მეორე — ონიშჩენკო...

**ბ. ბუხოვცევი.**
(სახალხოს სპეც. კორ.).

## მხოლოდ ოფიციალური შედეგები

### 29 აგვისტო

**ველოსპორტი. 100 კილომეტრზე საგზატკეცილო გუნდური რბოლა.**

1. სსრ კავშირი (ვ. ლიხაჩოვი, გ. კომნატოვი, ბ. შუხოვი, ვ. იარდი) — 2:11.47,5; 2. პოლონეთი — 2:12.27,1; 3. ჰოლანდია — 2:12.36,7.

**ცურვა. 100 მ გულაღმა. ვაჟები.**

1. როლანდ მათესი (გდრ) — 56,58 (ოლიმპიური რეკორდი); 2. მაიკ სტამი — 57,70; 3. ჯონ მერფი (ორივე — აშშ) — 58,35... 5. ი. გრივენიკოვი (სსრ კავშირი) — 59,50.

**100 მ თავისუფალი სტილით. ქალები.**

1. სანდრა ნილსონი — 58,59 (ოლიმპიური რეკორდი); 2. შირლი ბაბაშოფი (ორივე — აშშ) — 59,02; 3. შეინ გოულდი (ავსტრალია) — 59.06.

საბჭოთა სპორტსმენი ტ. ზოლოტნიცკაია ნახევარფინალში გამოეთიშა ბრძოლას. მისი დრო 1.01,12.

**200 მ თავისუფალი სტილით. ვაჟები.**

1. მარკ სპიტცი — 1.52,78 (მსოფლიო რეკორდი); 2. სტივენ გენტერი (ორივე — აშშ) — 1.53,73; 3. ვერნერ ლამპე (გფრ) — 1.53,99... 7. ვ. ბურე (სსრ კავშირი) — 1.57,24.

**200 მ ბრასით. ქალები.**

1. ბევერლი უიტფილდი (ავსტრალია) — 2.41,71 (ოლიმპიური რეკორდი); 2. დანა შენფილდი (აშშ) — 2.42,05; 3. გალინა სტეპანოვა — 2.42,36... 7. ლ. პორუბაიკო (ორივე — სსრ კავშირი) — 2.44,48.

**თანამედროვე ხუთჭიდი. სამი სახეობის შემდეგ.**

პირადი ჩათვლა: 1. პ. ლედნიოვი — 3101 ქულა, 2. ბ. ონიშჩენკო (ორივე — სსრ კავშირი) — 3087, 3. ა. ბალცო (უნგრეთი) — 3073... 8. ვ. შმელიოვი (სსრ კავშირი) — 2904.

გუნდური ჩათვლა: 1. სსრ კავშირი — 9095 ქულა, 2. უნგრეთი — 8531, 3. ფინეთი — 8260.

## ჯერჯერობით...

✦ **მცირეკალიბრიანი** შაშხანით (სტანდარტი 3×40) სროლაში ოქროს მედალი მოიგო ჯონ რაიტერმა (აშშ), რომელმაც სამი მდგომარეობის ჯამში (დგომელა, წოლელა და ჩოქელა) 1166 ქულა დააგროვა. ეს შედეგი მსოფლიო რეკორდია.

✦ **საბჭოთა** წყალბურთელებმა მორიგ მატჩში ესპანეთის ნაკრებს აჯობეს — 8:5 (1:0, 2:1, 2:2, 3:2).

## რაიონებში [illegible]

✦ **ახმეტა**

20 კაცის მონაწილეობით სამ თვეს გრძელდებოდა სოფელ ქისტაურის პირველობა ჭადრაკში. ჩემპიონის სახელი მოიპოვა ო. სულაშვილმა. II-III ადგილები ზ. ფშაველიშვილმა და ნ. ფედოტოვმა გაიყვეს. საპრიზო ადგილებზე გასულნი სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

**ზ. ნათელაური.**

• • •

აქ დამთავრდა რაიონის საშუალო სკოლების სპარტაკიადა. უძლიერესის სახელი სოფელ მატნის საშუალო სკოლის (დირექტორი გ. ნაროზაული) კოლექტივმა მოიპოვა. II ადგილი ხვდათ ახმეტის 1-ლი, III — სოფელ ქისტაურის საშუალო სკოლების წარმომადგენლებს.

**ო. სულაშვილი,**
სოფ. მატნის საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი.

✦ **ოჩამჩირე**

ადგილობრივ კულტურის სახლში ჩატარდა ქალაქის ვაჟთა პირველობა ჭადრაკში. შეჯიბრებაში 16 კაცი მონაწილეობდა. I-II ადგილები გაიყვეს ბ. ნაყოფიამ და ე. კოზლოვმა. დამატებითი მატჩი ნაყოფიამ მოიგო. III ადგილზეა გ. წახნაკია.

• • •

ჩატარდა „კოლმეურნის" რაისაბჭოს სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები ჭადრაკსა და ტყვიის სროლაში. მოჭადრაკეთა ტურნირში I-III ადგილები მოქვის, მერკულისა და არაკიჩის გუნდებმა გაიყვეს. ტყვიის მსროლელთა შეჯიბრებაში გაიმარჯვა სოფელ ქოჩარის კოლმეურნეობა „საქართველოს" ნაკრებმა.

**ო. ჭედია.**

რაიონებში [illegible]

## „სპორტი" — მინიატურული კარდიოგრაფი

ორიგინალური ხელსაწყო, რომელიც ლვოვის სამედიცინო მოწყობილობათა ქარხანამ გამოუშვა, შეუცვლელი იქნება სპორტსმენთა ვარჯიშისა და დატვირთვის დროს ადამიანის ორგანიზმის მუშაობის სხვადასხვა სახის გამოცდისთვის.

მცირე ზომის ყუთი-გადამცემი, რომელიც სრულიადაც არ შეუშლის ხელს სპორტსმენს, 3 საათის განმავლობაში გადასცემს მაჯისცემასა და სუნთქვის რიტმს მიმღები ხელსაწყოსთვის 150 მეტრის მანძილიდან. მინიატურული კარდიოგრაფის — „სპორტის" დახმარებით იოლად და საიმედოდ ხორციელდება კონტროლი მანძილზე ადამიანის გულის მოქმედებაზე.

## ხელოვნების ფორუმი

ოლიმპიური თამაშების დღეებში მეტად საინტერესო იქნება კულტურული პროგრამა, გაცილებით ფართო და მრავალმხრივი, ვიდრე წინა ოლიმპიადებზე იყო. როგორც მიუნხენის გაზეთი „ზიუდდოიჩე ცაიტუნგი" აღნიშნავს, ქალაქებში, სადაც ოლიმპიური შეჯიბრებები მიმდინარეობს, წარმოდგენილი იქნება ჭეშმარიტად მთელი მსოფლიოს ხელოვნება. თამაშებზე ჩავიდა და კიდევ ჩავა მუსიკოსების, მსახიობების, მხატვრებისა და ხელოვნების სხვა დარგების წარმომადგენელთა დიდი არმია. მარტო მიუნხენს სხვადასხვა ქვეყნის ოცზე მეტი თეატრი ეწვევა. გაიხსნა ბევრი გამოფენა.

ბუნებრივია, ოლიმპიადაზე ფართოდაა წარმოდგენილი სსრ კავშირის, გდრ-ისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ხელოვნება. ამჟამად დასავლეთგერმანული მუსიკალური კრიტიკა აღტაცებით წერს მოსკოვის ფილარმონიის ორკესტრის გამოსვლებზე, რომელიც მიუნხენში გაიმართა ოლიმპიური კულტურული პროგრამით. დასავლეთგერმანელი მაყურებლები კ. კონდრაშინისა და დ. ოისტრახის შეუდარებელი ოსტატობის მოწმენი გახდნენ.

მიუნხენში გასტროლებს გამართავს ს. ობრაზცოვის თოჯინების თეატრი, რომელიც საშეფო კონცერტსაც მოაწყობს ელექტროტექნიკური ფირმა „სიმენსის" მუშებისთვის.

დასავლეთ გერმანიაში დიდი ინტერესი გამოიწვია საბჭოთა ექსპოზიციამ „სპორტი სახვით ხელოვნებაში". აქ წარმოდგენილია 110 ნამუშევარი. „ზიუდდოიჩე ცაიტუნგმა" განსაკუთრებით აღნიშნა მხატვარ ა. ოსიპოვის სურათი „სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ქორქია თავის აღსაზრდელებთან". „ეს ყველაზე საუკეთესო ტილოა მათ შორის, რაც მიუნხენს უნახავს ბოლო წლებში".

კილში გაიხსნა სპორტისადმი მიძღვნილი საბავშვო ნახატების საერთაშორისო გამოფენა. ჟიურიმ მიიღო 18 ათასი ნამუშევარი 67 ქვეყნიდან. ერთ-ერთ საუკეთესოდაა მიჩნეული 12 წლის მოსკოველი გოგონას ო. რუტმანის ლინოგრავიურა „პატარა მოთხილამურე".

მიუნხენში ოლიმპიადის ჩარჩოებში ჩატარდება აგრეთვე საერთაშორისო კინოფესტივალი. მის საპატიო სტუმრებს შორის ჩარლი ჩაპლინიც იქნება.

კულტურის ოლიმპიურ დღეებთან დაკავშირებით კილში საზეიმოდ გაიხსნა საოპერო თეატრის რესტავრირებული შენობა. ოლიმპიადის დღეებში მის სცენაზე გამოვლენ ბულგარეთის, პოლონეთის, დანიის, ნორვეგიისა და შვეციის საოპერო და საბალეტო დასები.

28 დღის განმავლობაში მიუნხენში გაიმართება ფოლკლორული ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი, სადაც 11 ქვეყნის 700 მსახიობი გამოვა.

ოლიმპიადის კულტურული პროგრამა მდიდარი და მრავალმხრივია.

# 1. საფეხბურთო სკოლების კულისებში

## (ბათუმი, მახარაძე, სოხუმი)

ივლისის ბოლოს „ა“ კლასის II ლიგის სამი რესპუბლიკური გუნდი მოვინახულე. მათგან ორი — ბათუმის „დინამო“ და მახარაძის „მერცხალი“ — გათამაშების ლიდერთა ჯგუფში არიან, მესამე კი — სოხუმის „დინამო“ — ტრადიციისამებრ კუდში მიჩანჩალებს.

დარწმუნებული ვარ, ფეხბურთის გულშემატკივრებმა მშვენივრად იციან ზემოჩამოთვლილი გუნდების სატურნირო მდგომარეობა და ამიტომ ამ საკითხს არ გამოვუდგები. მაგრამ ყოველი საფეხბურთო გუნდი ხომ რაღაც აისბერგის მსგავსია: ერთი მესამედი ზედაპირზე დაცურავს, ორი — წყალქვეშ. აისბერგი სწორედ ამ ორ მესამედს უჭირავს. ამ ორი მესამედის წყალობით არის იგი მაგარი ან მერყევი, ლამაზი ან ულამაზო, სხვებზე მაღალი თუ დაბალი. ერთი სიტყვით, ნება მიბოძეთ ვილაპარაკო ამ თვალით უხილავ ნაწილზე, ვილაპარაკო მხოლოდ იმ ხანმოკლე სტუმრობის მანძილზე ნანახზე, მხოლოდ გაზეთის შესაძლებლობისა და მკითხველის ინტერესთა ფარგლებში.

* * *

სავლაპირველად მახარაძეში მინდოდა გავჩერებულიყავი. დავრჩებოდი ერთ-ორ დღეს და მერე ქალაქის გუნდთან ერთად ბათუმს გავემგზავრებოდი, სადაც 22 ივლისს პირველი წრის დასკვნითი მატჩი უნდა ჩატარებულიყო მახარაძის „მერცხალსა“ და ადგილობრივ „დინამოს“ შორის. ამ მატჩისადმი ინტერესს ისიც აღვივებდა, რომ ორივე გუნდს ქულათა თანაბარი რაოდენობა ჰქონდა და უნდა დადგენილიყო, მათგან რომელი იქნებოდა რესპუბლიკის „საშუალედო ჩემპიონი“ პირველი წრის შედეგების მიხედვით II ლიგის გუნდებს შორის.

ვიმეორებ, მახარაძიდან მინდოდა საქმის დაწყება, მაგრამ, რომ ჩავედი, მასპინძლები შინ არ დამიხვდნენ. გადაეწყვიტათ თამაშის წინ ბათუმში მოეწყოთ შეკრება. რაღას ვიზამდი, ჩავჯექი ავტობუსში და გზა გავაგრძელე.

ბათუმში ორივე გუნდი — სტუმრებისაც და მასპინძლებისაც — სტადიონზე მოვარჯიშე ვნახე. მატჩამდე ორი დღე რჩებოდა და, ბუნებრივია, მწვრთნელებს არც ერთი წუთის დაკარგვა არ უნდოდათ. გადავწყვიტე ასეთ დროს მწვრთნელებისთვის ხელი არ შემეშალა და სხვა საქმეს შევუდექი, ფედერაციის მუშაობას გავეცანი. უნდა გითხრათ, ძალიან ნასიამოვნები დავრჩი სანიმუშო წესრიგიანობით. შედგა საანგარიშო-საარჩევნო კრება, რომელმაც ფედერაციის პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა აირჩია. ხელახლა შეიქმნა მისი სამუშაო ორგანოები — მსაჯთა კოლეგია, სპორტულ-ტექნიკური კომისია, მწვრთნელთა საბჭო. დამთავრდა აჭარის შიდასარაიონო ძირეული კოლექტივების ჩემპიონატის პირველი ტური. უკვე მზად იყო სტარტი II ტურისა, სადაც რაიონებს შორის გამარჯვებულებს ავტონომიური რესპუბლიკის ჩემპიონობისთვის უნდა ებრძოლათ. დასასრულ, აჭარის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიას 1972 წლის 25 თებერვლის სხდომაზე განუხილავს ფეხბურთის მდგომარეობა და რესპუბლიკის სპორტულ ორგანიზაციებში ფეხბურთელებთან მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი. ჩემი აზრით, ამ მხრივ აჭარის ფეხბურთის ფედერაციის მაგალითი მისაბაძია.

უნდა აღინიშნოს, რომ სპორტკომიტეტმა და ფედერაციამ უზრუნველყვეს ბათუმის „დინამოში“ საკონტროლო ნორმატივების ჩაბარებაც, რამაც ფეხბურთის გუნდის ხელმძღვანელობის მხრივ ნეიტრალიტეტის ვითარებაში ჩაიარა. „ნეიტრალიტეტს“ იმიტომ ვამბობ, რომ ნორმატივების ჩაბარების ოქმს არც მწვრთნელი აწერს ხელს, არც გუნდის უფროსი. როგორც ჩანს, ამ ჩაბარებაში და, აქედან გამომდინარე, მიღებული ტესტებით გაწვრთნილობის შემოწმებაში ეს უკანასკნელნი თაისან მხარეს არ წარმოადგენდნენ.

ჩემი ერთ-ერთი ამოცანა სწორედ ნორმატივების ჩაბარების შემოწმება იყო. ამიტომ მოველაპარაკე ფედერაციის პრეზიდიუმის მდივანს კუსიძეს, რომ მას უზრუნველეყო არჩევითი შემოწმების საორგანიზაციო მხარე, რადგან მე და გუნდის მწვრთნელს ცირიკს 23 ივლისისთვის გვქონდა დანიშნული. შემოწმება არჩევით გადავწყვიტეთ, მხოლოდ ისინი უნდა „შეგვეწუხებინა“, ვინც წინადღით თამაშით დაკავებული არ იქნებოდა.

მაგრამ ეს შემოწმება არ მოხერხდა. დიდი საფუძველი მაქვს ვიფიქრო, რომ იგი თავად გუნდის მწვრთნელმა ცირიკმა ჩაშალა, რომელიც მარტოდმარტო გამოცხადდა სტადიონზე: განაცხადა, ფეხბურთელებმა „არ დამიჯერეს“ და არ წამომყვნენო. ხელმძღვანელიც ასეთი უნდა! ჩემი აზრით, ფეხბურთელებმა კი არ უთხრეს უარი, თვითონ გააფრთხილა, არ მოხვიდეთო. ასევე უკვალოდ გაქრნენ კუსიძე და ყველა მსაჯიც, ვინაიდან შემოწმებით შეიძლება ციფრებში სიყალბე აღმოჩენილიყო.

გადავწყვიტე მე თვითონ მომეკიდა შემოწმებისთვის ხელი. თავად განსაჯეთ: თუ ოქმს დავუჯერებთ, ფეხბურთელ პავლოვს, მაგალითად, 30 მეტრი ბურთით 4,8 წამში გაურბენია, ხოლო 5×30 მ ბურთით — 21 წამში (?!). ნათელია, თუ ფეხბურთელი 30 მეტრის გარბენას მაქსიმალური სისწრაფით 4,8 წამს ანდომებს, დისტანციის ხუთგზის გამეორებისას ყოველ მონაკვეთს 4,2 წამში ვერასოდეს გაირბენს. ტყუილსაც მოხერხება უნდა! ეს ერთადერთი შეუსაბამობა როდი იყო. სხვა ფაქტებიც მოწმობდა, რომ ოქმში ბევრი გაბერილი ციფრი იყო დასახელებული. რასაკვირველია, მწვრთნელებს არ შეიძლება ეს არ სცოდნოდათ და ამიტომ აარიდეს თავი ნორმატივების ჩაბარებას.

რათა აქ ამ საკითხს აღარ დავუბრუნდეთ, შევნიშნავ, რომ იგივე სურათი აღმოჩნდა სოხუმის „დინამოშიც“. შემოწმებით დადასტურდა, რომ იმ ფეხბურთელებს რომელთაც ოქმის მიხედვით 30 მეტრზე 4,0-4,1 წამი ჰქონდათ ნაჩვენები, სინამდვილეში ეს მანძილი 4,5-4,6 წამში გაურბენიათ. იმათ, ვისაც ოქმის მიხედვით 5×30 მ ბურთით 20-21 წამში ჰქონდა გავლილი, სინამდვილეში 23,5-23,7 უჩვენებია. ასეთივე ამბავი აღმოჩნდა ზოგიერთი სხვა ნორმატივის ჩაბარების შემოწმებისას.

რას მოწმობს ეს ყველაფერი? პირველ ყოვლისა იმას, რომ ფეხბურთელები შორს არიან საჭირო ათლეტიზმისგან და მათს მომზადებაში ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზია. მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი: ეს მოწმობს, რომ საეჭვოა თვით ზოგიერთი ნორმატივი, რასაც მხოლოდ სწორი მონაცემები დაადასტურებდა.

ნორმატივების ჩაბარების მონაცემების ფალსიფიკაციის გზით გუნდებმა ცუდი სამსახური გაუწიეს თავის თავს, ვინაიდან შეგნებულად „ვერ დაინახეს“ საქმის ნამდვილი ვითარება. და საერთოდ, მათ დათვური სამსახური გაუწიეს მთელს ჩვენს ფეხბურთს. ამით ორიენტირება იკარგება, მიღებული ტესტების მნიშვნელობის, მათი სისწორის შეფასება შეუძლებელი ხდება.

უკეთესად არც ის გუნდები მოქცეულან, რომლებმაც საერთოდ უარი თქვეს ნორმატივების ჩაბარებაზე. სამწუხაროდ, მათს რიცხვშია მახარაძის „მერცხალიც“.

ნორმატივები ისე კი არ უნდა განვიხილოთ, თითქოს ეს მხოლოდ „ზემდგომი ორგანოებისთვისაა“ საჭირო. მწვრთნელს არ შეუძლია მუშაობა ფიზიკური მომზადების ტესტების სისტემატური შემოწმების გარეშე. ამით უნდა გაირკვეს, როგორ აქვთ საქმე ფეხბურთელებს სისწრაფის, ჩქაროსნული ამტანობისა და სხვა მხრივ. ამ მონაცემების დინამიკა მწვრთნელს უკეთ ორიენტირების საშუალებას აძლევს. მაგრამ ატარებენ თუ არა ასეთ შემოწმებას მწვრთნელები? როგორც ჩანს, არა. ყოველ შემთხვევაში, ჟურნალებში ამ საკითხზე ჩანაწერები არ არის. მაგრამ ჩანაწერებს კიდევ რა უშავს. მთავარი ისაა, რომ მწვრთნელებს საერთოდ არ უყვართ ტესტებით მეცადინეობა, ბრმად მუშაობა ურჩევნიათ, მხოლოდ ალღოზე დაყრდნობით. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ზოგიერთ მწვრთნელს წამზომიც კი არა აქვს!

პედაგოგიური კონტროლი ყველაზე მეტი გასაჭირია ჩვენი მწვრთნელების პრაქტიკაში. საექიმო კონტროლზე ხომ საერთოდ აღარას ვამბობთ. მწვრთნელებმა მოდად გადააქციეს ჩივილი ექიმებზე, რომლებიც თითქოს II ლიგის რესპუბლიკურ გუნდებს ან არა ჰყავთ, ან კვალიფიციურნი და კეთილსინდისიერნი არ არიან, ან გულხელდაკრეფილნი სხედან. მაგრამ, ჩემი აზრით, სწორედ მწვრთნელების ბრალია, საექიმო პერსონალს გუნდებში სათანადოდ რომ ვერ იყენებენ. ექიმი უსაქმოდ არ დარჩება, მწვრთნელი რომ მისგან სერიოზულად მოითხოვდეს სამსახურს.

დავიწყოთ „წვრილმანით“. სოხუმის „დინამოს“ სტადიონის მედპუნქტში სასწორიც კი არ დგას. საყვედური ექიმისა სათქმელია, მაგრამ განა აუცილებლად ექიმია საჭირო იმისთვის, რომ ყოველი საწვრთნელი მეცადინეობის დაწყებამდე და მის შემდეგ, ყოველი შეჯიბრების დაწყებისას და დამთავრების მერე ფეხბურთელი აიწონოს? გასაკვირია, რომ ფუნქციონალური მდგომარეობისა და გაწვრთნილობის ამ ელემენტარულ და აუცილებელ კონტროლს მწვრთნელები და სპორტსმენები ასე ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.

როგორც სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის ქართველი კალათბურთელების მომზადების გამოცდილებამ გვიჩვენა, აკურატულ აწონას სპორტსმენისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ შერჩევით ვაკონტროლებთ სპორტსმენის წონის მეცადინეობის დატვირთვასთან (დიდი, საშუალო, მცირე) დაკავშირებულ კლება-აღდგენას, მაშინ შეიძლება კონტროლი გავუწიოთ ფეხბურთელის არა მარტო ფუნქციონალურ მდგომარეობას და გაწვრთნილობას, არამედ დატვირთვის ხარისხსაც.

დაავალეთ ექიმს საწვრთნელი მეცადინეობის დამთავრებისთანავე შერჩევით შეამოწმოს ფეხბურთელთა სუნთქვა, მაჯისცემა, სპირომეტრია და არტერიული წნევა, შეამოწმოს ამ ფუნქციების შეფარდებითი აღდგენითი პერიოდები. ჩააბით ექიმი მუშაობაში, მისი დახმარებით მოაწყვეთ ფუნქციონალური შემოწმება, ვთქვათ 5×30 მეტრზე რბენის სერიებში. განა ექიმი უარს იტყვის?



მოსთხოვეთ ექიმს, რომ ყოველი ფეხბურთელის კარტოთეკა ჰქონდეს, წესიერად წერდეს ყველაფერს ჟურნალში, ესწრებოდეს საწვრთნელ მეცადინეობებსა და შეჯიბრებებს, პასუხი აგოს ფეხბურთელთა პროფილაქტიკაზე, მკურნალობაზე, სისტემატურ კვლევაზე. შემდეგ, თუ იგი უარს იტყვის და არ შეასრულებს თავის მოვალეობას, საყვედურიც თქვით.

სოხუმელი ფეხბურთელი ტროიანი არ ვარჯიშობდა — კოჭწვივის ტრავმა ჰქონდა. ჰკითხეს, დისპანსერში თუ იყავიო. „დიახ, — უპასუხა ფეხბურთელმა, — მკურნალობა დამინიშნეს“. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ტროიანი არსადაც არ ყოფილა, თავად გაითავისუფლა თავი წვრთნისგან და თავადაც მკურნალობდა. იმავე დისპანსერში გამოირკვა, რომ ფეხბურთელ ერქომაიშვილს საერთოდ არ გაუვლია გამოკვლევა. ვის დავაბრალოთ ეს ყველაფერი, დაინტერესებულ დისპანსერს თუ დაუინტერესებელ გუნდის ხელმძღვანელებს?

დროა გავიგოთ, რომ საწვრთნელ პროცესს სათანადო სიმაღლეზე ვერ დავაყენებთ, თუ ექიმებს მისი ორგანიზაციის აქტიურ მონაწილეებად არ ვაქცევთ.

ექიმების მიმართ საყვედური მით უფრო პარადოქსულია, რომ მას განაპირობებს არა მწვრთნელთა მონდომება და უნარი გუნდების მომზადებაში საექიმო კონტროლის დანერგვისა, არამედ მათი სურვილი, რომ ობიექტური მიზეზები მოუნახონ თავიანთ უუნარობას კონტროლის საქმიანად გამოყენებაში.

მართლაც, სამედიცინო კონტროლი რა საჭიროა, თუ საწვრთნელი მეცადინეობები ამდენად დაშორებულია დატვირთვის იმ საფეხურს, რომელიც ოპტიმალურად ითვლება და მოითხოვს ფაქიზ დაკვირვებას ფეხბურთელის ორგანიზმის ფუნქციონალურ მდგომარეობაზე, აღდგენითი პროცესების სრულფასოვნებაზე, გადაღლისა და ზედმეტი დაძაბულობის თავიდან აცილების მიზნით. დატვირთვა, შეიძლება ითქვას, თანამედროვე წვრთნის ერთ-ერთი ყველაზე საჭირბოროტო საკითხია.

**პ. ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ,**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სასწავლო-მეთოდური საბჭოს წევრი.

---

# საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

● „კოლხეთი“ (ხობი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 0:0. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

ხობელებმა სწრაფი იერიშებით დაიწყეს თამაში და უპირატესობა მატჩის ბოლომდე არ დაუთმიათ, თუმცა ყველაფერი ეს უშედეგოდ დამთავრდა. „კოლხეთმა“ ვერ გამოიყენა პენალტიც, რომელიც გუნდმა კუდრიაშოვს მიანდო. მატჩის ბოლო წუთებზე გოლის გატანა უკვე სტუმრებს შეეძლოთ და ხობელები მეკარე მოსაშვილმა იხსნა.

● „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „ვარკეთილი“ (გარდაბანი) 2:1. მსაჯი ლ. ვერულიძე (ბათუმი).

ანგარიში 21-ე წუთზე გახსნა სამტრედიელმა დვალიშვილმა. შემდეგ სტუმრები კარგა ხანს უტევდნენ, მაგრამ „ლოკომოტივმა“ კარგად განახორციელა კონტრშეტევა, რომელიც მეორე გოლით დაამთავრა კოხრეიძემ. „ვარკეთილმა“ ერთადერთი ბურთის გაქვითვა 11-მეტრიანი დარტყმით (თაბაგარი) შეძლო.

მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის მინდვრიდან გაძევებულია გარდაბნელი ე. შაიშმელაშვილი. გაფრთხილება მიეცათ სამტრედიელ მოთამაშეებს რ. გიგინეიშვილსა და ზ. დადიანს.

● „მეშახტე“ (ტყიბული) — „დინამო“ (ზუგდიდი) 3:1. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

ლიდერთა შეხვედრა ძალიან საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა. დაახლოებით 30 წუთის მანძილზე უპირატესობა დინამოელებს ჰქონდათ, მაგრამ საკმარისი იყო შეცდომა დაეშვა მათს ერთ-ერთ მცველს და ტყიბულელმა ჭელიძემ ზუსტად გაგზავნა ბურთი მეტოქის ბადეში, ხოლო ტაიმის დასასრულს მანვე ანგარიში 2:0-მდე აიყვანა. მატჩის ბედი საბოლოოდ გაირკვა მას შემდეგ, რაც ქარქაშაძემ მესამედ აიღო დინამოელთა კარი და სტუმრებმა მხოლოდ ის შეძლეს, რომ თავი დააღწიეს „მშრალი“ ანგარიშით დამარცხებას (აბრალავა).

არასპორტული საქციელისთვის გაფრთხილებულია ტყიბულელი ი. ლორთქიფანიძე.

● „კოლმეურნე“ (წულუკიძე) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 0:0. მსაჯი მ. ნადიროვი (რუსთავი).

მასპინძლებს მატჩის დასასრულს ბურთის გატანის საშუალება მიეცათ, მაგრამ ელიავამ პენალტი ვერ გამოიყენა.

● „შუქურა“ (ქობულეთი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 2:2. მსაჯი ზ. თოდაძე (ქუთაისი).

● „ქართლი“ (გორის რაიონი) — „ივერია“ (ხაშური) 4:0. მსაჯი ა. ჰკუასელი (თბილისი).

მატჩის პირველ წუთებზე სტუმრები საკმაოდ აქტიურად თამაშობდნენ, შემდეგ კი უპირატესობა მთლიანად „ქართლის“ მხარეს გადავიდა და ხაშურელთა კარში 4 უპასუხო გოლი გავიდა (ფსუტური, რევაზიშვილი — 2, გამეწარაშვილი).

● „ისანი“ (თბილისი) — „გიგანტი“ (ლაითური) 0:0. მსაჯი თ. ფანიაშვილი (თბილისი).

● „სამცხე“ (აწყური) — „სულორი“ (ვანი) 3:0. მსაჯი ა. მილჩენკო (სოხუმი).

ვანელთა კარში ბურთები გაიტანეს ზუბოვმა (2) და ტოლოკოლნიკოვმა.

## II ჯგუფი

### I ზონა

„კოლმეურნე“ (ტიბაანი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 1:1, „ავტომობილისტი“ (ცხინვალი) — „ვარძია“ (ასპინძა) 1:1, „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „ვაზი“ (შრომა, გურჯაანის რაიონი) 1:1, „არაგვი“ (დუშეთი) — „მევენახე“ (ვაზისუბანი) 5:0, „შევარდენი“ (თბილისი) — „შირაქი“ (წითელი წყარო) 1:0, „ცისკარი“ (სიღნაღი) — „მესხეთი“ (ახალციხე) 2:1.

### II ზონა

ხის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 1:3, „კომეტა“ (ფოთი) — „დინამო“ (ქუთაისი) 5:4, „განთიადი“ (აბაშა) — „იმერეთი“ (თერჯოლა) 0:0, „დიოსკურია“ (სოხუმი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 0:1, „ჩიხურა“ (საჩხერე) — „სქური“ (წალენჯიხა) 5:3, „კოლმეურნე“ (ჩხოროწყუ) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 0:1, „განახლება“ (ადიგენი) — „საირმე“ (მაიაკოვსკი) 1:0.

## ზონალური შეჯიბრებები

„ავტომობილისტი“ (სამტრედია) — „მშენებელი“ (ჭიათურა) 4:1, „კოლმეურნე“ (ლანჩხუთი) — „ყინწვისი“ (ქარელი) 1:2, „ლაშე“ (მახარაძე) — „მეხალიჩე“ (ცხაკაია) 3:1, „სოფლტექნიკა“ (თელავი) — „იორი“ (თიანეთი) 6:0, „მუკუზანი“ (გურჯაანი) — „ძველი ანაგა“ (სიღნაღი) 3:2, „ქისტაური“ (ახმეტა) — „რუბეროიდი“ (გარდაბანი) 1:2.

დმანისის „რაიკავშირი“ ორჯერ არ გამოცხადდა კალენდარულ მატჩებში სათამაშოდ, რისთვისაც გათამაშებიდან მოიხსნა.

## გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 31 აგვისტოსთვის

### I ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი“ (სამტრედია) | 26 | 17 | 7 | 2 | 47—27 | 41 |
| „დინამო“ (ზუგდიდი) | 27 | 16 | 7 | 4 | 48—18 | 39 |
| „მეშახტე“ (ტყიბული) | 25 | 15 | 7 | 3 | 49—19 | 37 |
| „შუქურა“ (ქობულეთი) | 27 | 13 | 7 | 7 | 40—36 | 33 |
| „სალხინო“ (გეგეჭკორი) | 25 | 11 | 8 | 6 | 42—29 | 30 |
| „სულორი“ (ვანი) | 25 | 11 | 6 | 8 | 24—19 | 28 |
| „კოლხეთი“ (ხობი) | 26 | 11 | 6 | 9 | 25—26 | 28 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 25 | 9 | 8 | 8 | 42—30 | 26 |
| „სამცხე“ (აწყური) | 26 | 10 | 5 | 11 | 45—41 | 25 |
| „კახეთი“ (თელავი) | 24 | 10 | 4 | 10 | 32—34 | 24 |
| „ისანი“ (თბილისი) | 26 | 8 | 8 | 10 | 26—29 | 24 |
| „ეგრისი“ (ცხაკაია) | 27 | 9 | 6 | 12 | 32—43 | 24 |
| „მეტალურგი“ (ზესტაფონი) | 26 | 9 | 5 | 12 | 27—39 | 23 |
| „ქართლი“ (გორის რაიონი) | 26 | 10 | 2 | 14 | 45—43 | 22 |
| „გიგანტი“ (ლაითური) | 26 | 7 | 8 | 11 | 16—27 | 22 |
| „ივერია“ (ხაშური) | 26 | 9 | 4 | 13 | 21—42 | 22 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 24 | 7 | 7 | 10 | 30—33 | 21 |
| ასკ (თბილისი) | 20 | 6 | 6 | 8 | 26—24 | 18 |
| „ვარკეთილი“ (გარდაბანი) | 24 | 5 | 5 | 14 | 17—31 | 15 |
| „განთიადი“ (ბორჯომი) | 25 | 3 | 8 | 14 | 31—48 | 14 |
| „კოლმეურნე“ (წულუკიძე) | 24 | 4 | 6 | 14 | 11—38 | 14 |

### II ჯგუფი

I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ვაზი“ (შრომა, გურჯაანის რაიონი) | 19 | 14 | 2 | 3 | 48—18 | 30 |
| „ავტომობილისტი“ (ცხინვალი) | 19 | 13 | 1 | 5 | 46—10 | 27 |
| „ალაზანი“ (გურჯაანი) | 19 | 11 | 5 | 3 | 34—19 | 27 |
| „ცისკარი“ (სიღნაღი) | 18 | 12 | 2 | 4 | 25—9 | 26 |
| „ვარძია“ (ასპინძა) | 19 | 10 | 3 | 6 | 27—18 | 23 |
| „დურუჯი“ (ყვარელი) | 17 | 8 | 4 | 5 | 27—23 | 20 |
| „მესხეთი“ (ახალციხე) | 19 | 8 | 4 | 7 | 27—26 | 20 |
| „შირაქი“ (წითელი წყარო) | 18 | 7 | 5 | 6 | 21—22 | 19 |
| „მევენახე“ (ბოლნისი) | 17 | 7 | 3 | 7 | 33—28 | 17 |
| „მევენახე“ (ვაზისუბანი) | 17 | 6 | 5 | 6 | 30—38 | 17 |
| „კოლმეურნე“ (ტიბაანი) | 20 | 6 | 4 | 10 | 23—34 | 16 |
| „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) | 19 | 6 | 3 | 10 | 28—30 | 15 |
| „არაგვი“ (დუშეთი) | 20 | 4 | 3 | 13 | 26—36 | 11 |
| „შევარდენი“ (თბილისი) | 18 | 4 | 3 | 11 | 14—32 | 11 |
| „ბარისი“ (თეთრი წყარო) | 19 | 4 | 1 | 14 | 16—54 | 9 |
| „თრიალეთი“ (წალკა) | 18 | 4 | 0 | 14 | 12—40 | 8 |

„ლელოს“ მორიგი ნომერი გამოვა პარასკევს, 1 სექტემბერს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.

უფ 02687